

**ქრისტიანული ტერმინოლოგიის
კორპუსლინგვისტური ანალიზი
„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში ¹**
**CORPUS LINGUISTIC ANALYSIS
OF CHRISTIAN TERMINOLOGY
IN RUSSIAN TRANSLATIONS
OF *THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN* ²**

მარინა მჟავანაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Marina Mzhavanadze

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

The Knight in the Panther's Skin, the poem by Shota Rustaveli is one of the exceptional masterpieces of Georgian national literature. The poem has not lost its actuality and has been an object of permanent research and popularization since the period of its creation. Accordingly, the importance of our research topic is cultivated by the significance of the poem itself. With the use of modern methods, the Rustvelological research takes a much wider scope and expands the possibilities of the poem's promotion and accessibility to the researchers interested in the subject. The popularization of *The Knight in the Panther's Skin* has been significantly assisted by Russian translations, which served as a source text for the translations into other languages. Our goal is to apply the method of corpus linguistic analysis to the study of the Christian terminology identified in *The Knight in the Panther's Skin* in Russian translations, namely, in complete poetic translations by Konstantin Balmont, Shalva Nutsubidze, and Archil Khalvashi. Based on empirical material, we will try to evaluate the degree of equivalence in translations, analyze the relationship between the source and the translation, as well as the translations themselves, and identify the translation principles and strategies of every translator. The conclusions formulated as a result of the research are made on the basis of the electronically processed empirical material,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი - PHDF-21-5986]

² This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number - PHDF-21-5986]

which significantly increases the degree of empiricity of the work. Also, the corpus linguistic analysis of the translations will contribute to the development of digital Kartvelology and, specifically, to the development of Rustvelology. Thus, we believe, the article will be beneficial to the reader interested in the topic both theoretically and practically.

საკვანძო სიტყვები: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანები, ქრისტიანული ტერმინოლოგია, კორპუსლინგვისტიკა.

Keywords: Shota Rustaveli, Russian translations of *The Knight in the Panther's Skin*, Christian terminology, corpus linguistics.

XII-XIII საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლშეგრძნებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა იწყება. ახალმა აზროვნებამ უნდობლობა გამოუცხადა ქრისტიანულ დოგმებს და რწმენის სფეროში რაციონალიზმი, გონების, ინტელექტის კულტი შემოიტანა. ამგვარ პროცესებს მყარ საფუძველს უქმნიდა ანტიკური ფილოსოფია, რომელმაც რენესანსამდე მიიყვანა ევროპა. ადამიანი იწყებს საკუთარი შესაძლებლობების, ღირებულებებისა და მნიშვნელობის გამოკვეთას და იმკვიდრებს სათანადო ადგილს სამყაროში. სწორედ ასეთი გარდამავალი პროცესების, პროგრესული იდეებით შთაგონებული ეპოქის წარმომადგენელია რუსთაველი, რომლის უმთავრეს პრინციპს რაციონალიზმი წარმოადგენს. გონიერება პოემის მთავარი საფუძველი, რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია. შემოქმედმა დროულად შეამჩნია ქრისტიანულ მსოფლშეგრძნებაში დაწყებული ძვრები, სწორად შეაფასა ანალიტიკური აზროვნების პერსპექტივები და რენესანსული გზით წარმართა პოემის იდეურ-თემატური სამყარო (ხინთიბიძე 2009: 712-715).

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი ქრისტიანული დოგმების თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, პოემაში მკვეთრად შეინიშნება ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალი, მისი როლი ავტორის მსოფლმხედველობის ფორმულირებაში. ჩვენი მიზანია, „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილი ქრისტიანული ტერმინოლოგიის ტრანსფერის საკითხის კვლევა რუსულენოვან თარგმანებში, კერძოდ, კონსტანტინე ბალმონტის, შალვა ნუცუბიძისა და არჩილ ხალვაშის მიერ შესრულებულ სრულ პოეტურ თარგმანებში. კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდის გამოყენებითა და ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით შევაფასოთ ეკვივალენტურობის ხარისხი თარგმანებში, გავაანალიზოთ ურთიერთმიმართებები როგორც დედანსა და თარგმანს, ასევე საკუთრივ თარგმანებს შორის, გამოვავლინოთ თითოეული მთარგმნელის მთარგმნელობითი პრინციპები და სტრატეგიები.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველის პერსონაჟები არ ემორჩილებიან რელიგიურ დოგმებს, მაგრამ სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ მათ გააჩნიათ შენდობის ძალა, რასაც ღვთაებრივობამდე აჰყავს ისინი. ავთანდილი

ცოდვითა შემსუბუქებას სთხოვს ღმერთს, რადგან უზენაესი გულისხმიერია და იმედოვნებს მისგან შენდობას. ის ასევე ასმათს სთხოვს პატიებას, რასაც ამყარებს რელიგიური მოძღვრებით: „ამად რომე შეცოდება შვიდგზის თქმულა შესანდობლად“ (რუსთაველი 1957: 246.4.). ავთანდილის ვედრება ემყარება ლუკას სახარებას: „დაღაცათუ შვიდ გზის დღესა შინა შეგცოდოს და შვიდ გზის მოაქციოს და გრქვას შენ: შევინანე, მიუტევე მას“ (ლუკა 17,4). ამავე საფუძველზე სთხოვს ტარიელი ფარსადან მეფეს, რომ შეცოდება შეუნდოს რამაზ მეფეს: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“ (რუსთაველი 1957: 470.1.2.). ცნება „**შვიდგზის**“ რუსთველოლოგიაში ქრისტიანული აღქმებიდან მომდინარედაა მიჩნეული (ნოზაძე 1963: 336-9). ვნახოთ აღნიშნული მოძღვრებების გამომხატველი სტრიქონები თარგმანებში:

„ამად რომე შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობლად“ (რუსთ. 1957: 246.4.).

„Мы должны давать прощенье, и не раз, а до семи“ (ბალმ. 1988: 7.4.239.4.).

„Как ни тяжко прегрешенье, все ж прощенье семикратно“ (ნუცუბ. 1979: 7.246.4.).

ხალვ.: „Ведь простили семь раз за день, говорится в книге святой“ (ხალვ. 2015: 6.363.4.).

„მე ვჰკადრე: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“ (რუსთ. 1957: 18.470.1.2..).

„Я дерзнул сказать: «От бога милосердия к грешным много.

Так и ты суди нестрога пораженного его“ (ბალმ. 1988: 11.459.1.2.).

„Я сказал: «Коль бог прощает, не считаясь с прегрешеньем,

„Вы бессильному простите вашим царственным решением“ (ნუცუბ. 1979: 18.470.1.2.).

„Я дерзнул: «Так как грешнику прощает грехи Господь Бог, –

И вы сделайте доброе тому, кто ослаб, сбилсся с ног!“ (ხალვ. 2015: 16.653.1.2.).

ავთანდილის სიტყვებს სამივე მთარგმნელი ადეკვატურად თარგმნის, გადააქვს ჩვენთვის საინტერესო ცნება „**შვიდგზის**“ და ცოდვების მიტევების აუცილებლობას ხაზგასმით გამოკვეთს, მეტიც, ხალვაში წმინდა წიგნსაც ამატებს ნათქვამის დასადასტურებლად და იმპლიკაციურად მიუთითებს მასზე (говорится в книге святой). მეორე შემთხვევაშიც ასეთივე ერთგულება შეინიშნება წყარო-ტექსტის მიმართ. სამივე მთარგმნელი შეახსენებს მეფეს შეწყალების ღვთისმიერობას და მოუწოდებს, „ჰკადრებს“, უძღურის შენდობას. როგორც ჩანს, დინამიკური, აქტიური სიუჟეტების თარგმნა ბევრად უმარტივდებათ მთარგმნელებს, ვიდრე სტატიკური, ოდენ აღწერითი მომენტებისა, რომლებიც ზღუდავს მთარგმნელობით თავისუფლებას.

ვ. ნოზაძის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიურია კონცეპტები – **სამოთხე, ედემი, ალვა** (სამოთხის ხე, კვიპაროსი); **ბისონი, ჯეონი**,

დილჯა, ეფრათი (სამოთხის მდინარეები); **სატანა, ეშმა** (ეშმაკი) (ნოზაძე 1963: 359-363). სატანა ანუ ეშმაკი პოემაში მოხსენიებულია არაპირდაპირად, როდესაც თინათინი საუბრობს უცხო მოყმეზე: „ადრე სცნობ არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“. ვ. ნოზაძე მიიჩნევს, რომ „უშობელში“ ეშმაკი იგულისხმება, რასაც ადასტურებს როსტევეანის სიტყვები: „ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო, ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო“ (რუსთაველი 1957: 3.118.2.3). სწორედ ეს ზეცით „წამოსრული“, „გარდმოჭრილი“, „მტერი“ არის ეშმაკი, „უშობელი“ (ნოზაძე 1963: 425-434).

ვნახოთ „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ბიბლიური კონცეპტების – **სამოთხე, ბისონი, ჯეონი, ეფრათი** – შესატყვისები თარგმანებში:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
4.133.3. სამოთხე	Рай	Рай	Рай
29.719.4. ბისონი	Евфрат		Фисон
30.749.3. ჯეონი		Райскою рекой	Джеон
29.694.2. ეფრათი	Евфрат	Евфрат	Евфрат

ცხრილი №1.

როგორც ვხედავთ, **სამოთხე** ერთადერთხელ დასტურდება პოემაში და მის შესატყვისად სამივე თარგმანში გამოყენებულია ფორმა Рай. სამოთხის მდინარეები – **ბისონი, ჯეონი, ეფრათი** – მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შემადგენელი ნაწილებია პოემაში, თარგმანებში კი სხვადასხვა ფორმით გადადის ან საერთოდ გამოტოვებულია. ბალმონტი მხოლოდ ეფრატს თარგმნის ეკვივალენტურად, ჯეონი გამოტოვებული აქვს, ხოლო ბისონის ნაცვლად იყენებს ეფრატს (Евфрат). ნუცუბიძეს გამოტოვებული აქვს ბისონი, ეფრატს ისიც ეკვივალენტურად თარგმნის, ხოლო ჯეონს ზოგადი რეფერენციით (სამოთხის მდინარე – Райская Река) მოიხსენიებს. მხოლოდ ხალვაში თარგმნის ოთხივე კონცეპტს ზედმიწევნით ზუსტად, დენოტაციური ეკვივალენტებით, რაც პირდაპირი თარგმნის პრინციპის გამოხატულებაა თარგმანში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მნიშვნელოვანია მსგავსი ტერმინების ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნა, რათა შესაძლებელი იყოს წყარო-ტექსტში გეოგრაფიული არეალის ადეკვატური გააზრება და შესწავლა.

„ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ბიბლიური ტერმინების – **სატანა, ეშმა** (ეშმაკი), **უშობელი** – ტრანსფერის საკითხის განსახილველად გავცნოთ თითოეულ თარგმანში გამოვლენილი ეკვივალენტების ცხრილებს:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
0.2.2. სატანა		Сатана	Сатана
31.787.3. სატანა	Сатана	Дьявол	Сатана
36.874.4. სატანა	Сатана	Сатана	Сатана
47.1213.1. სატანა	Сатана	Сатана	Сатана

ცხრილი №2.

როგორც ცხრილშია ნაჩვენები, მთარგმნელები **სატანას** თარგმნისას პირდაპირ თარგმანს ანიჭებენ უპირატესობას და დენოტაციურ ეკვივალენტს (Сатана) შეუსატყვისებენ თარგმანებში აღნიშნულ კონცეპტს. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ნუცუბიძე სატანის შესატყვისად იყენებს კონოტაციურ ეკვივალენტს **ეშმაკს** (Дьявол), რაც სატანის სინონიმური ფორმა და მნიშვნელოვნად არ ცვლის წყარო-ტექსტის ვითარებას.

ბევრად რთული და მრავალფეროვანი სურათი გვაქვს **ეშმაკის** თარგმნის შემთხვევაში. წყარო-ტექსტში ეშმაკი სულ ათ კონტექსტშია მოხსენიებული სხვადასხვა ფორმით. სიტყვა განვრცობილი ფორმით (ეშმაკი) სულ ექვსჯერ დასტურდება, ხოლო მოკლე ფორმით (ეშმა) – სამჯერ. ამას ემატება ეშმაკის ატრიბუტი, **უშობელი**, რომელიც ერთხელ გვხვდება პოემაში. სამივე ფორმას რუსულ თარგმანებში ყველაზე ხშირად **Дьявол** შეესატყვისება, თუმცა არის განსხვავებული შემთხვევებიც. ვნახოთ ეკვივალენტები ცხრილის სახით:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
3.110.3. ეშმა	Дьявол	Дьявол	Черт
4.131.2. ეშმა	Дьявол	Зло	Сатана
39.965.2. ეშმა	Демон	Зло	Сатана
3.114.4. ეშმაურობა	Дьявол	Наваждение	Черт
3.118.2. ეშმაკი		Дьявол	ведьмой злой
25.574.2. ეშმაკი	Дьявол	Дьявол	Черт
32.805.3. ეშმაკი		Дьявол	
46.1196.4. ეშმაკი	Дьявол	Дьявол	Черт
40.996.1. საეშმაკო	Дьявол	Дьявол	Черт
36.879.3. უშობელი	Дьявол	низвергнут небесами	

ცხრილი №3.

როგორც ვხედავთ, ბალმონტი **ეშმაკის** შესატყვისად **Дьявол** ფორმას ცხრა შემთხვევიდან ექვსჯერ იყენებს, ორ შემთხვევაში გამოტოვებული აქვს, ერთ შემთხვევაში კი კონოტაციურ ეკვივალენტს – **დემონს** (Демон) შეუსატყვისებს. ასევე ექვსჯერ დასტურდება ეშმაკის შესატყვისად **Дьявол** ფორმა ნუცუბიძის თარგმანში, ორ შემთხვევაში ეშმაკის ნაცვლად **ბოროტება** (зло) გამოიყენება, ხოლო ერთადერთ შემთხვევაში ეშმაკს

наваждение (აკვიატება, ბოდვა) შეესატყვისება, რასაც კონტექსტი განაპირობებს („ვმებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავსწამეთ ეშმაურობა“). ამ შემთხვევაში თარგმანი არაზუსტია, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე – ეკვივალენტური.

ხალვაში მოცემულ კონტექსტებში **ეშმაკის** შესატყვისად საერთოდ არ იყენებს Дьявол ფორმას. ცხრა შემთხვევიდან ხუთ შემთხვევაში Черт ფორმა დასტურდება თარგმანში, ორ შემთხვევაში – Сатана, ერთ შემთხვევაში კი გამოტოვებულია ეშმაკი და მხოლოდ მისი მსაზღვრელებია („სიცუდე და სიბილწე“) თარგმნილი – дерзкого, нечистого, злого духа (თავხედი, უწმინდური, ბოროტი სული). კონტექსტში, როდესაც დავარზე განრისხებული როსტევეანი ეშმაკს ახსენებს („მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“ 574.2.), მთარგმნელი იყენებს ფრაზას – Злая ведьма, რაც ბოროტ ჯადოქარს გულისხმობს, რამდენადაც ის მიემართება ნესტან-დარეჯანს, რომელმაც შესცოდა მამის წინაშე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიზუსტის მხრივ Дьявол უფრო ახლოს არის ეშმაკთან, ვიდრე черт, რამდენადაც черт ბევრ სხვა მნიშვნელობასაც შეიცავს (ეშმაკი, დემონი, ავი სული, ჭინკა, ჯოჯოხეთი, ჯანდაბა) და ბუნდოვანს, არაზუსტს ხდის სათარგმნი ტერმინის მნიშვნელობას.

რაც შეეხება ეშმაკის ატრიბუტს **უშობელი**, ბალმონტი მას არ ახსენებს, თუმცა მომავლადვის საპირისპიროდ წარმოგვიდგენს ოპოზიციურ წყვილში (смертный это или нет), რაც მის უკვდავობას გულისხმობს. ნუცუბიძე ზეციდან ჩამოვარდნილს (низвергнут небесами) უწოდებს მას, რაც ისევე მიემართება ეშმაკს, როგორც უშობელი, თუმცა ამ შემთხვევაშიც არაზუსტია თარგმანი. ხალვაში მხოლოდ მოცემულ კონტექსტში იყენებს дьявол ფორმას ეშმაკთან მიმართებით, თუმცა ამჯერად არა პირდაპირ ეშმაკის, არამედ ატრიბუტის თარგმნა იყო საჭირო, რაც არც ერთი თარგმანის შემთხვევაში არ იყო ადეკვატური.

სამოთხესთან დაკავშირებულ ტერმინებს შორის სიხშირითა და ეკვივალენტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა სამოთხის ბაღი – ედემი და ედემის ხე – **ალვა**. როგორც ცნობილია, პოემაში აღნიშნული ტერმინები ხშირად ხდება პერსონაჟთა გარეგნობის შესადარებელი ობიექტი. **ალვა** დამოუკიდებლად პოემაში სულ 32 კონტექსტში გვხვდება, ედემთან ერთად – ხუთჯერ, მთლიანობაში 37-ჯერ გამოიყენება სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალების ფუნქციით, რაც საკმაოდ მასშტაბურია ერთი ნაწარმოებისთვის. ერთ კონტექსტში გამოყენებული **ალვა** და **ედემი** ხშირად არასრულად გადააქვთ მთარგმნელებს, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს თარგმნიან. ვნახოთ ალვისა და ედემის ერთდროულად გამოყენების შემთხვევების ამსახველი მაგალითები, ასეთი სულ ხუთი სტრიქონია პოემაში:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია“ (რუსთ. 1957: 1.50.1.).

„Расточая вдвое, втрое, расцветешь ты, как алоэ, Это древо вековое, чье в Эдеме бытие“ (ბალმ. 1988: 1.50.1.).

„Государей украшает щедрость, как эдем - алоэ“ (ნუცუბ. 1979: 1.50.1.).

„Щедрость свойственна всем царям, как раю – милый вид и цвет“ (ხალვ. 2015: 1.77.1.).

„ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“ (რუსთ. 1957: 2.77.4.).

„Он прекрасен, как алоэ, что в Эдеме возросло“ (ბალმ. 1988: 1.71.4.)

„Автандил, - кричат в восторге, - быть в раю чинарой мог!“ (ნუცუბ. 1979: 2.77.4.).

„Автандила восхваляли: «Тополь эдемского сада“ (ხალვ. 2015: 2.120.4.).

„არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხეხული“ (რუსთ. 1957: 23.522.2.).

„вот не солнце уж она. Не луна и не алоэ“ (ბალმ. 1988: 13.510.3.).

„Не сравнятся с ней чинара, ясный месяц и денница“ (ნუცუბ. 1979: 23.522.2.).

„Солнце, луна, ствол Эдема с нею сравниться, не могли“ (ხალვ. 2015: 21.710.2.).

„წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მქვერი“ (რუსთ. 1957: 29.694.2.).

„Цвет алоэ в нежной холе. Юный стебель в райской воле. Окропил его Евфрат“ (ბალმ. 1988: 18.660.1.2.).

„Стан-чинару орошает волн Эвфратовых напор“ (ნუცუბ. 1979: 29.694.2.).

„ам, в Эдеме поил Евфрат самый стройный из тополей“ (ხალვ. 2015: 27.905.2.).

„ვინ გუშინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია“ (რუსთ. 1957: 29.715.1.).

„Райским быть вчера лишь древом, быть овсяну напевом“ (ბალმ. 1988: 18.681.1.).

„Кто досель меня в эдеме возносил чинара древом“ (ნუცუბ. 1979: 29.715.1.).

„Кто вчера в саду Эдема посадил меня, чтобы рос“ (ხალვ. 2015: 27.931.1.).

მოცემული მაგალითებიდან ჩანს, რომ მთარგმნელების დამოკიდებულება ტერმინების თარგმნის პროცესში არაერთგვაროვანია. ბალმონტი **ედემის** შესატყვისად დენოტაციურ ეკვივალენტს (Эдем) მხოლოდ ორჯერ იყენებს, ასევე ორჯერ იყენებს კონოტაციურ ეკვივალენტს **სამოთხე** (Рай), ხოლო ერთ შემთხვევაში გამოტოვებული აქვს. ნუცუბიძე ხუთიდან ორ შემთხვევაში იყენებს ფორმას Эдем, ერთხელ - Рай, ხოლო ორჯერ გამოტოვებული აქვს. ხალვაშის თარგმანში გამოტოვების არც ერთი შემთხვევა არ გვაქვს. მთარგმნელი ედემს ოთხჯერ შეუსატყვისებს ფორმას Эдем, ხოლო ერთხელ - Рай. როგორც აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში დაცულია ეკვივალენტურობა და მკვეთრი სხვაობები არ შეინიშნება, რასაც ვერ ვიტყვით სიტყვა **ალვას** შემთხვევაში. მოცემულ ხუთ კონტექსტში ალვა უმეტესად ალოეთი (Алоэ) გადააქვთ მთარგმნელებს. ბალმონტი ოთხ შემთხვევაში ალვას სწორედ ალოეს შეუსატყვისებს, ხოლო მეხუთე შემთხვევაში – ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფორმას – **სამოთხის ხე** (Райское Древо). ნუცუბიძე ოთხ შემთხვევაში ალოეს შეუსატყვისებს

კონოტაციურ ეკვივალენტს *ჩინარა* (ჭადარი), ხოლო ერთ შემთხვევაში დენოტაციურს – *Алоэ*. ხალვაში ალვას შეუსატყვისებს კონოტაციურ ეკვივალენტს *Тополь*, რაც რუსულში გულისხმობს როგორც ალვის ხეს, ასევე ვერხვსა და ჭადარს. სამ შემთხვევაში საერთოდ გამოტოვებული აქვს მთარგმნელს ალვა.

ალვისა და ედემის ცალკეული გამოყენების შემთხვევებს გავცნოთ ეკვივალენტების ცხრილის სახით:

	ბალმონტი	ნუცუბიძე	ხალვაში
8.309.3. ედემი		Эдем	Сад садов
9.321.3.ედემი	Рай	Эдем	Эдем
9.332.3. ედემი	Райский сад	Эдем	Рай
18.476.3. ედემი		Эдем	Эдем
29.725.2. ედემი	Рай	Эдем	Эдем
4.120.4. ალვა		Чинара	
2.157.3.ალვა	Алоэ	Чинара	тополь
6.227.3. ალვა	Алоэ		
8.281.3. ალვა	Алоэ	Чинара	
9.330.1. ალვა	Алоэ		
19.491.4. ალვა	Тополь		
23.517.3. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
24.553.4. ალვა		Чинара	тополь
27.616.4. ალვა	Тополь	Чинара	тополь
27.619.4. ალვა	Тополь	Чинара	тополь
28.655.3. ალვა			тополь
28.666.4. ალვა		Чинара	
29.696.3. ალვა	Тополь	Чинара	тополь
29.711.2. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
30.738.3. ალვა	Алоэ		тополь
30.760.3. ალვა		Древо	
35.841.1. ალვა	Алоэ	Чинара	
39.954.1. ალვა		Тополь	тополь
46.1144.1. ალვა	Алоэ	Тополь	
46.1147.3. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
47.1260.2. ალვა	Алоэ	Чинара	тополь
50.1302.2. ალვა		Чинара	тополь

50.1310.4. ალვა		ჩინარა	
52.1336.3. ალვა	Тополь	ჩინარა	тополь
52.1358.2. ალვა		ჩინარა	тополь
52.1359.2. ალვა		ჩინარა	тополь
53.1387.4. ალვა		ჩინარა	
56.1424.1. ალვა		ჩინარა	тополь
59.1512.4. ალვა	Алоэ	Тополь	
61.1583.4. ალვა		Тополь	
61.1585.4. ალვა			тополь
62.1629.2. ალვა		Алоэ	тополь

ცხრილი №4.

ალვის შესატყვისად თარგმანებში გამოიყენება კონოტაციური ეკვივალენტები – Алоэ, Чинара, Тополь. მათი მონაცვლეობა ხშირია არა მხოლოდ მთარგმნელებს შორის, არამედ ერთი თარგმანის ფარგლებშიც. ბალმონტი 32-დან 12 შემთხვევაში ალვას შეუსატყვისებს ფორმას – **Алоэ**, 5 შემთხვევაში – Тополь, ხოლო დანარჩენ 15 შემთხვევაში გამოტოვებულია. კლების შემთხვევათაგან 4 შემთხვევაში მთლიანად სტროფია გამოტოვებული, ხოლო 11 შემთხვევაში ალვას შესატყვისი არ აქვს სტრიქონში. ნუცუბიძეს მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული ალვის შესატყვისად Алоэ, ოთხ შემთხვევაში დასტურდება Тополь, ხოლო 20 შემთხვევაში Чинара ფორმა გამოიყენება, 8 სტრიქონში კი საერთოდ გამოტოვებულია ალვა. ხალვაში 32 სტრიქონიდან 23 შემთხვევაში ალვას შესატყვისად იყენებს ფორმას Тополь, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება Чинара, 8 სტრიქონში კი გამოტოვებულია შესატყვისი. როგორც აღმოჩნდა, ბალმონტი ალვას შესატყვისად უპირატესობას ანიჭებს სიტყვას Алоэ, ნუცუბიძე – Чинара, ხოლო ხალვაში – Тополь. გამოტოვების შემთხვევები ყველაზე ხშირად ბალმონტთან გვაქვს, რასაც ისიც განაპირობებს, რომ მთარგმნელი ტოვებს არა სიტყვას, არამედ მთლიან სტროფსა თუ ეპიზოდს.

ედემი მხოლოდ ხუთ სტრიქონში დასტურდება ცალკე. ცალკეულ შემთხვევებშიც ედემს შეესატყვისება დენოტაციური ეკვივალენტი Эдем ან ზოგადი რეფერენციის გამომხატველი ფრაზა – სამოთხის ბაღი (Райский сад). ამ ფორმით ედემს თარგმნის ბალმონტი ხუთიდან ორ შემთხვევაში, ერთ შემთხვევაში მხოლოდ სამოთხეს (Рай) შეუსატყვისებს, ხოლო ორ შემთხვევაში საერთოდ არ თარგმნის მას. ხალვაში ედემის შესატყვისად იყენებს ფორმას – Сад садов (ბაღთა ბაღი), ასევე იყენებს სამოთხეს (Рай), იმავე ედემს (Эдем) და ნულოვან ეკვივალენტს ორ შემთხვევაში. ნუცუბიძე კი ამ შემთხვევაშიც სიზუსტეს იცავს, მთარგმნელი ედემს ხუთივე შემთხვევაში შეუსატყვისებს დენოტაციურ ეკვივალენტს Эдем.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბიბლიური ტერმინოლოგიის თარგმნისას მთარგმნელები ხშირად

უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირი თარგმნის პრინციპს, თუმცა გვხვდება კონოტაციური ეკვივალენტების გამოყენების შემთხვევებიც, რაც სინონიმებით გამოიხატება. თარგმანებში შეინიშნება მხატვრული ინტერპრეტაციის გამოყენების ფაქტებიც, რაც სხვადასხვა სიხშირით რეალიზდება. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მთარგმნელობითი პრინციპი და სტრატეგია არასტაბილურად იჩენს თავს თარგმნის პროცესში და შედეგად არაერთგვაროვანი ეკვივალენტები გვაქვს არა მხოლოდ სხვადასხვა თარგმანის, არამედ ერთი და იმავე თარგმანის შემთხვევაშიც, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს პოემის როგორც მხატვრულ, ასევე იდეურ-თემატურ ღირებულებას. თარგმნის პროცესში ცალსახად მნიშვნელოვანია, მთარგმნელმა საფუძვლიანად გაიაზროს თითოეული ტერმინის როგორც პირველადი მნიშვნელობა, ასევე, ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე კონტექსტის შესაბამისი ფუნქცია და არსი. წყარო-ტექსტში წარმოდგენილ ტერმინთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის გარეშე შეუძლებელია ადეკვატური შესატყვისების მოძებნა ენაში და ეკვივალენტური თარგმანის შექმნა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა აირჩიოს მთარგმნელმა პრინციპი, სტრატეგია, რომელსაც ერთგულად დაიცავს მთელი პოემის თარგმნის პროცესში, რათა არ დაირღვეს ერთგვაროვნება წყარო-ტექსტისა. მართალია, მთარგმნელი თავისუფალია თავის არჩევანში სტრატეგიის არჩევისას, მაგრამ მნიშვნელოვანია სწორედ მის მიერ არჩეული სტრატეგიის ერთგულებისა და თანმიმდევრულობის დაცვა თარგმნის პროცესში, რათა თარგმანი სრულად აკმაყოფილებდეს როგორც მეცნიერული კრიტიკის, ასევე მისით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველის მოთხოვნ-ლებებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ნოზაძე 1963: ნოზაძე ვ., ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963.

რუსთაველი 1957: რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. აკადემიური გამოცემა, რედაქტორები: ა. შანიძე, ვ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. თბილისი, 1957.

ხინთიბიძე 2009: ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლ-მხედველობრივი სამყარო. თბილისი, 2009.

რუსთაველი 1988: რუსთაველი შოთა, Витязь в тигровой шкуре, Пер. К. Бальмонта, П. Петренко, Н. Заболоцкого, Вступ. ст., подгот. текста и примеч. А. Барамидзе, С. Цаишвили. Л., 1988.

რუსთაველი 1979: რუსთაველი შოთა, Витязь в тигровой шкуре. пер. Ш. Нуцубидзе, 1979.

რუსთაველი 2015: რუსთაველი შოთა, Витязь в тигровой шкуре. пер. А. Халваши, 2015.

რუსული ენის ეროვნული კორპუსი: <https://ruscorpora.ru>

ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge>